

სს „ჰერითიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	12
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	13
6. ძირითადი საშუალებები	14
7. გაცემული სუბორდინირებული სესხი	14
8. სხვა აქტივები	15
9. კლიენტების მოზარბული აქტივები	15
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	15
11. სხვა ვალდებულებები	15
12. კაპიტალი	15
13. საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	16
14. საპროცენტო შემოსავალი	16
15. ადმინისტრაციული ხარჯები	16
16. საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები	17
17. ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	17
18. პირობითი ვალდებულებები	17
19. ფინანსური რისკების მართვა	18
20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	21
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“-ის მენეჯმენტსა და დამფუძნებელს

მოსაზრება

ჩავატარეთ „სს ჰერიტიჯ სიქიურითიზ“-ის და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში - ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები), სადაც მოცემულია მენეჯმენტის პოზიცია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით. განახლებული სტრატეგიის შესაბამისად, ჯგუფი გამოვიდა საცალო ბაზრიდან და კონცენტრირდა მსხვილი კორპორატიული კლიენტების მოზიდვასა და მათთვის სარგებლის შექმნის ეფექტური საშუალებების შეთავაზებაზე.

საანგარიშგებო წელს საბროკერო შემოსავლები მნიშვნელოვნად შემცირდა. ჯგუფი საკუთარი ოპერაციებით სრულად ვერ აფინანსებს მიმდინარე დანახარჯებს და ამ ეტაპზე იყენებს დაფინანსების გარე წყაროებს და დამოკიდებულია მომავალში დაგეგმილი პროექტების წარმატებაზე. ეს მოვლენები და პირობები მიუთითებს, რომ ძირითადი საოპერაციო საქმიანობის გაუმჯობესება არსებითად არის დამოკიდებული მომავალზე. მენეჯმენტს და დამფუძნებელს სჯერათ, რომ ჯგუფი გრძელვადიან პერსპექტივაში შეძლებს დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადების გენერირებას, მანამდე კი ჯგუფის მეწილე გამოთქვამს მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი უზრუნველყოს საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელებისთვის საჭირო ფინანსებით.

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგემოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

31 მარტი, 2023

თბილისი, საქართველო

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

31 მარტი, 2023

თბილისი, საქართველო

სს „ჰერითიჯ სიკიურითიზ“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	3,232	686
გაცემული სუბორდინირებული სესხი	7	998,302	1,144,399
სხვა აქტივები	8	22,167	40,605
კლიენტების მოზარებული აქტივები	9	12,310,236	16,906,551
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	103,702	95,071
სულ აქტივები		13,437,639	18,187,312
ვალდებულებები			
კლიენტების ანგარიშები	9	12,310,236	16,906,551
სხვა ვალდებულებები	11	62,381	2,235
სულ ვალდებულებები		12,372,617	16,908,786
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	217,787	217,787
საემისიო კაპიტალი	12	77,317	77,317
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები	12	746,097	746,097
სხვა რეზერვები	12	(467)	1,641
გაუნაწილებელი მოგება	12	24,638	236,034
სულ მფლობელის კაპიტალი			
არამაკონტროლებელი წილი	12	(350)	(350)
სულ კაპიტალი		1,065,022	1,278,526
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,437,639	18,187,312

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 31 მარტს:

თენგიზ ლაშხი
დირექტორი



სს „ჰერიტიჯ სიქიურიტიზ“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	3,232	686
გაცემული სუბორდინირებული სესხი	7	998,302	1,144,399
სხვა აქტივები	8	22,167	40,605
კლიენტების მოზარებული აქტივები	9	12,310,236	16,906,551
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	103,702	95,071
სულ აქტივები		13,437,639	18,187,312
ვალდებულებები			
კლიენტების ანგარიშები	9	12,310,236	16,906,551
სხვა ვალდებულებები	11	62,381	2,235
სულ ვალდებულებები		12,372,617	16,908,786
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	217,787	217,787
საემისიო კაპიტალი	12	77,317	77,317
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები	12	746,097	746,097
სხვა რეზერვები	12	(467)	1,641
გაუნაწილებელი მოგება	12	24,638	236,034
სულ მფლობელის კაპიტალი		1,065,372	1,278,876
არამაკონტროლებელი წილი	12	(350)	(350)
სულ კაპიტალი		1,065,022	1,278,526
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,437,639	18,187,312

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 31 მარტს:

თენგიზ ლაშხი
დირექტორი

სს „ჰერიტიჯ სიქიურიტიზ“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	13	14,839	28,749
საპროცენტო შემოსავალი	14	95,197	101,917
სხვა შემოსავალი		1,137	-
სულ შემოსავალი		111,173	130,666
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(137,889)	(75,177)
საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები	16	(32,308)	(41,162)
ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	17	(152,372)	(53,480)
სულ ხარჯები		(322,569)	(169,819)
ზარალი დაბეგვრამდე		(211,396)	(39,153)
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშგებო წლის ზარალი		(211,396)	(39,153)
კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილება		(2,108)	2,065
საანგარიშგებო წლის სრული ზარალი		(213,504)	(37,088)
საანგარიშგებო წლის მოგება ზარალი განკუთვნილი:			
სათაო კომპანიის მფლობელები		(211,396)	(39,153)
არამაკონტროლებელი წილი		-	-
საანგარიშგებო წლის სრული ზარალი განკუთვნილი:			
სათაო კომპანიის მფლობელები		(213,504)	(37,088)
არამაკონტროლებელი წილი		-	-

სს „ჰერიტიჯ სიქიურიტიზ“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება	დამფუძნებელთან განხორციელებუ ლი ოპერაციები	სხვა რეზერვები	სულ	არამაკონტრ ოლებელი წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2020	217,787	77,317	275,187	746,097	(424)	1,315,964	(350)	1,315,614
საანგარიშგებო წლის სრული ზარალი	-	-	(39,153)	-	2,065	(37,088)	-	(37,088)
31 დეკემბერი 2021	217,787	77,317	236,034	746,097	1,641	1,278,876	(350)	1,278,526
საანგარიშგებო წლის სრული ზარალი	-	-	(211,396)	-	(2,108)	(213,504)	-	(213,504)
31 დეკემბერი 2022	217,787	77,317	24,638	746,097	(467)	1,065,372	(350)	1,065,022

სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული თანხები	65,477	14,382
მიღებული პროცენტები	93,051	103,271
გადახდილი ხელფასები	(91,361)	(76,642)
მოწოდებულ მომსახურებაზე გადახდილი თანხები	(43,342)	(33,771)
გადახდილი ბანკისა და საბროკერო მომსახურების საკომისიო	(4,812)	(4,371)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	19,013	2,869
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	19,013	2,869
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	95,071	93,901
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(10,382)	(1,699)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	103,702	95,071

სს „ჰერითიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

სს „ჰერითიჯ სიქიურითიზ“ (ს/ნ 205286457) (ყოფილი სს „ლიბერთი სიქიურითიზ“) დაარსდა საქართველოში 2009 წლის 2 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და 2015 წლის 31 ივლისს გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად, ხოლო 2017 წლის 30 აგვისტოს შეიცვალა სახელწოდება და ნაცვლად სს „ლიბერთი სიქიურითიზ“-ისა იწოდება სს „ჰერითიჯ სიქიურითიზ“ (შემდგომში კომპანია). კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი N29.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კერძო და ინსტიტუციონალური კლიენტებისთვის საბროკერო, აქტივების მართვის და კასტდიანური მომსახურების გაწევა ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების მიმართულებით. აქტივების მართვის მომსახურების ფარგლებში კომპანია საკუთარ კლიენტებს სთავაზობს მაღალშემოსავლიანი ინდივიდუალური ანგარიშის სტრატეგიას - (HY IAS) აქტივების მართვა.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულია, როგორც საბროკერო კომპანია. კომპანია ასევე წარმოადგენს საქართველოს საფონდო ბირჟის წევრს.

კომპანიის მეწილეები: კომპანიის მეწილეების სტრუქტურა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად: სს „ჰერითიჯ ჰოლდინგზი“ - 100%. კომპანიის ბენეფიციარი მესაკუთრეა ვლადიმერ გურგენიძე.

ჯგუფის სტრუქტურა. კომპანიის შვილობილს წარმოადგენს შემდეგი საწარმო (ერთად „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	2022	2021
სს „ლიბერთი ფაინენსი“	66,67%	66,67%

შვილობილ კომპანიას ბოლო წლების განმავლობაში შეწყვეტილი აქვს ფუნქციონირება და საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სამეურნეო ოპერაციები არ განუხორციელებია.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არის განსაზღვრული. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ კონსოლიდირებულ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2022 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ამავე პერიოდის ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

სს „ჭერთიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევს მართოს ინვესტიციის ობიექტის რევევანტური საქმიანობა);
- ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან საკონტრაქტო გარიგებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანუღირდება; არარეალიზებული ზარალიც ანუღირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. ჯგუფი და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

მიმდინარე წელს ჯგუფმა გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. მათ გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ თანხებზე.

- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს-16-ის კორექტირება);
- წამგებიანი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯები – შესწორებები ბასს 37-ში;
- წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020;
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირება).

აღნიშნული ცვლილებების გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივი, რომელიც წინა პერიოდში წარმოდგენილი იყო როგორც სხვა ვალდებულებების ნაწილი, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია სხვა აქტივების ნაწილად. აღნიშნული საგადასახადო აქტივი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეკლასიფიცირებულია და შეადგენს 1,164 ლარს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები, საგადასახადო აქტივი და ფინანსური აქტივი რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, რომლებიც წინა პერიოდში

სს „ჰერთიუჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

წარმოდგენილი იყო განცალკავებულ მუხლებად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია სხვა აქტივების ნაწილად. აღნიშნული მუხლები მიმდინარე პერიოდში არ წარმოადგენენ არსებით მუხლებს, შესაბამისად, მენეჯმენტის შეფასებით, სხვა აქტივების ნაწილად წარდგენა უფრო რელევანტური და შესაბამისია ჯგუფისთვის. აღნიშნული მუხლების ჯამური ოდენობა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეკლასიფიცირებულია და შეადგენს 39,252 ლარს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო	ბრიტანული ფუნტი
31 დეკემბერი 2022	2.7020	2.8844	3.2581
31 დეკემბერი 2021	3.0976	3.5040	4.1737

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები. ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც ჯგუფი ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში. ჯგუფი სავალო ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

აღიარება და აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ჯგუფი ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც ჯგუფი იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდოს ან გაყიდოს აქტივს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივებიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის განახლება არსებითად განსხვავებული პირობებით, აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულების. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების. განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში.

ღირებულების განსაზღვრა. საწყისი აღიარებისას ჯგუფი ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით (FVPL), ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე ემატება ღირებულებას. ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. წმინდა დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების) (მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყეუ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას.

სავალო ინსტრუმენტების შემდგომ შეფასება დამოკიდებულია ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც ჯგუფი ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

ამორტიზირებული ღირებულება. აქტივები, რომლებსაც ჯგუფი ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- **FVOCI** აქტივები, რომლის ფლობის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და ამავე დროს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირს და პროცენტს წარმოადგენს ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI). ყველა ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურებასთან დაკავშირებული შემოსულობის/ზარალისა, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო სხვაობებისა, რაც აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ამ პერიოდამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა/ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალის უწყისში. ასეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

- **FVPL**. აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVPL).

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

- **გაუფასურება.** ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად იყენებს მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასების მიდგომას. ჯგუფი მოთხოვნას მიმდინარედ განიხილავს წარმოშობიდან ერთი თვის განმავლობაში.

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.** ჯგუფის ფინანსური აქტივები, ყველა წარდგენილი ანგარიშგების თარიღისთვის, ხვდება იმ კატეგორიაში რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს. ხოლო

რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ფინანსური აქტივები მოიცავს კაპიტალის ინსტრუმენტებში, კერძოდ სხვა კომპანიის აქციებში, განხორციელებულ ინვესტიციებს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.** ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: ა) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები.

გასაყიდად ფლობილი ვალდებულებები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა (FVPL).

ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში ცვლილებები, იმ დროს როდესაც ჯგუფი იყენებს FVPL-ს მოდელს, შეუქცევადად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (OCI), თუ:

- სხვა სრულ შემოსავალში წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამობებს; ან

- ვალდებულება არის სავალო ვალდებულება ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.

- **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრებისას.

კლიენტების მოზარებული აქტივები/კლიენტების ანგარიშები. მოიცავს აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებსაც ჯგუფი ფლობს კლიენტთან გაფორმებული იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ჯგუფს აქვს უფლება განკარგოს კლიენტის მიერ მოზარებული სახსრები. ნაშთები წარმოდგენილია პერიოდის ბოლოს სამართლიანი ღირებულებით, ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში აისახება ერთდროულად აქტივის და ვალდებულების მხარეს. შესაბამისად, აღნიშნულ ცვლილებას არ აქვს გავლენა ჯგუფის ლიკვიდობისა და

სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკებზე, ვინაიდან კლიენტების მოზარბული აქტივების ცვლილება, ასევე იწვევს ვალდებულებების ანგარიშის შესაბამის ცვლილებას.

სავაჭრო-კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შესრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. 2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ რომლის მიხედვითაც კომპანიები, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია სააქციო კაპიტალად. გამოშვებული და შევსებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან

ჯგუფი კლიენტებს სთავაზობს საერთაშორისო საბროკერო პლატფორმაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ მომსახურებას. კლიენტი უფლებას აძლევს ჯგუფს მართოს აღნიშნულ პლატფორმაზე განთავსებული მისი აქტივები საკუთარი ერთპიროვნული, საბოლოო და აბსოლიტური შეხედულებისამებრ. საბროკერო კომპანიის ანაზღაურება განისაზღვრება მხარეების შეთანხმების შესაბამისად და როგორც წესი გამოსახულია გენერირებული სარგებლის პროცენტის სახით.

სს „ჭერთიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია ლიკვიდურობის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს ლიკვიდურობის მიხედვით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.

ჯგუფის შემოსავლები სრულად უკავშირდება დაკავშირებულ მხარეებზე გაწეულ საბროკერო მომსახურებას. ახალი სტრატეგიის შესაბამისად, ჯგუფი გამოვიდა საცალო ბაზრიდან და კონცენტრირდა მსხვილ კორპორატიულ კლიენტებზე. 2022 წლის საანგარიშგებო წელს საბროკერო შემოსავლები მნიშვნელოვნად შემცირდა, ვინაიდან იგი სრულად უკავშირდება მხოლოდ 5 დაკავშირებულ მხარეზე გაწეულ საბროკერო მომსახურებას. საანგარიშგებო წლის სრული ზარალი შეადგენს 213,504 ლარს.

იმის შესაფასებლად, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მენეჯმენტმა გაითვალისწინა შემდეგი ფაქტორები: როგორც საანგარიშგებო, ასევე ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში, მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს ბიზნესის განვითარებაზე და ახალი სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე, რათა მშობელმა კომპანიამ ახლო მომავალში მოიზიდოს ახალი კლიენტები და გაზარდოს პორტფელი, რამაც უნდა უზრუნველყოს საბროკერო შემოსავლის ზრდა.

ამასთან ერთად, დამფუძნებელი მზადაა ფინანსური სირთულეების შემთხვევაში ჯგუფი უზრუნველყოს ფინანსური დახმარებით, იმ მიზნით, რომ შესაძლებელი იყოს ჯგუფის შეუფერხებელი ფუნქციონირება.

აქედან გამომდინარე, მენეჯმენტი თვლის, რომ საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილია და მომავალში ჯგუფი შეძლებს საოპერაციო შედეგების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ფუნქციონირებას გრძელვადიან პერიოდში.

• რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, ჯგუფმა გამოიყენა ინდივიდუალური მიდგომა მოთხოვნებისთვის, მოსალოდნელი დანაკარგები შეფასებულ იქნა როგორც არაარსებითი ყველა საანგარიშგებო პერიოდისთვის.

სუბორდინირებული სესხის საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ფასს 9-ის მიხედვით, ჯგუფს ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა 12 თვიანი პერიოდისთვის. ჯგუფი ვადაგადაცილებების შესახებ ინფორმაციას იყენებს იმის დასადგენად, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. მიიჩნევა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა

სს „ჭერთიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხები 30 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. ჯგუფის მიერ სუბორდინირებულ სესხის მოსალოდნელი დანაკარგები შეფასებულ იქნა როგორც არაარსებითი ყველა საანგარიშგებო პერიოდისთვის.

• საგადასახადო კანონმდებლობა.

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

• რეალური ღირებულების განსაზღვრა

ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. სამართლიანი ღირებულებები ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ინფორმაციის საფუძველზე

დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);

დონე 2: შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული);

დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

ჯგუფს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ მოცემული ახალი და კორექტირებული სტანდარტები, არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მომავალში ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და კორექტირებები სადაზღვევო ხელშეკრულებებში;
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები);
- სააღრიცხო შეფასების განმარტება (ცვლილება ბასს 8-ში);
- გადავადებული გადასახადთან დაკავშირებული აქტივი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციიდან (ბასს 12-ის კორექტირება).

ცვლილება რომელსაც შესაძლოა ქონდეს გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- სააღრიცხო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები – შესწორებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკული რეკომენდაცია

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში „არსებითობის განსჯა“, რომლებიც შეიცავს მითითებებსა და მაგალითებს, რათა დაეხმაროს სააღრიცხო პოლიტიკის განმარტებების არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. შესწორებების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენაში,

სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული (გაგრძელება)

რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დამატა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ბასს 1-ში შესული ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ვინაიდან ცვლილებები მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში შეიცავს არასავალდებულო მითითებებს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციაში ტერმინის „არსებითის“ განმარტების გამოყენების თაობაზე, მათი ძალაში შესვლის თარიღი არ არის საჭირო.

ჯგუფს ჯერ არ შეუფასებია ცვლილების გავლენა სააღრიცხვო პოლიტიკასა და განმარტებით შენიშვნებზე.

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2020	18,183
შემოსვლა	578
გასვლა	(12,219)
31 დეკემბერი 2021	6,542
შემოსვლა	3,200
გასვლა	-
31 დეკემბერი 2022	9,742
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი 2020	(17,260)
დარიცხული ცვეთა	(815)
გასვლა	12,219
31 დეკემბერი 2021	(5,856)
დარიცხული ცვეთა	(654)
გასვლა	-
31 დეკემბერი 2022	(6,510)
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2021	686
31 დეკემბერი 2022	3,232

7. გაცემული სუბორდინირებული სესხი

ჯგუფმა 2018 წლის 20 თებერვალს სს „ლიბერთი ბანკთან“ გააფორმა არაუზრუნველყოფილი სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულება. სესხის ვადა 2022 წელს გახანგრძლივდა 5 დან 7 წლამდე და დაფარვის ვადად განისაზღვრა 2025 წელი. სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 7%-ს. სესხი გაცემულია დოლარში და სარგებლის დარიცხვა ხორციელდება ყოველთვიურად. სესხი სუბორდინირებულია და იმ შემთხვევაში თუ ბანკი იმყოფება მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში, ბანკი გახდება გადახდისუუნარო, ან დაიწყება ბანკის ლიკვიდაცია, სესხი გადახდილ უნდა იქნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილდება ყველა შენაბრის და სესხზე უპირატესი უფლების მქონე ყველა კრედიტორის მოთხოვნები. გაცემული სუბორდინირებული სესხის სამართლიანი ღირებულება საბალანსო ღირებულების იდენტურია.

სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები	14,069	27,306
საგადასახადო აქტივი	2,711	1,164
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	787	10,782
გაცემული ავანსები	4,600	1,353
სულ სხვა აქტივები	22,167	40,605

9. კლიენტების მოზარებული აქტივები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული და ფულის ეკვივალენტები (კლიენტები)	5,573,265	11,844,327
სხვა აქტივები	6,736,971	5,062,224
სულ კლიენტების მოზარებული აქტივები	12,310,236	16,906,551

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	83,324	82,898
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	20,378	12,173
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	103,702	95,071

11. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საგადასახადო ანარიცხები *	61,220	-
სხვა ვალდებულებები	1,161	2,235
სულ სხვა ვალდებულებები	62,381	2,235

*საგადასახადო ანარიცხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

12. კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჯგუფის სრული ნებადართული კაპიტალი დაყოფილია 1,000,000,000 (ერთი მილიარდი) ჩვეულებრივ აქციად. ერთი ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ღირებულებაა 0.01 (ერთი თეთრი) ლარი. ჯგუფს განთავსებული აქვს 21,778.674 ჩვეულებრივი აქცია და სააქციო კაპიტალი შეადგენს 217,787 ლარს.

სს „ჭერთიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. კაპიტალი (გაგრძელება)

საემისიო კაპიტალი

საემისიო კაპიტალი მოიცავს მშობელი კომპანიის აქციონერების მიერ აქციათა ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ოდენობით კაპიტალში შეტანილ თანხებს, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 77,317 ლარს.

დივიდენდები

2022 წლის განმავლობაში არ გამოცხადებულა და გაცემულა დივიდენდები.

სხვა რეზერვები

სხვა რეზერვები წარმოადგენს რეალური ღირებულებით აღრიცხული ინვესტიციის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით გადაფასების შედეგს.

დამფუძნებელთან განხორციელებული ტრანზაქციები

2020 წლის 16 სექტემბერს მესაკუთრე ბენეფიციარმა ჯგუფს აპატია სესხი, რაც წარმოადგენს დამფუძნებელთან განხორციელებულ ტრანზაქციას და აისახება პირდაპირ კაპიტალში.

საბროკერო კომპანიებს, საქართველოს კანონმდებლობით, ეროვნული ბანკი უსაზღვრავს კაპიტალის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები დაკავშირებულია მხოლოდ კაპიტალის მოცულობასთან და არ არის დაკავშირებული კაპიტალის ან აქტივების სტრუქტურასთან. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის მიხედვით კაპიტალი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 500,000 (ხუთასი ათასი) ლარს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მფლობელთა მთლიანი კაპიტალი შეადგენს 1,065,022 ლარს. შესაბამისად, ჯგუფის მხრიდან დამაყოფილებულია კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა.

13. საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

	2022	2021
საკომისიო შემოსავალი აქტივების მართვის მომსახურებიდან	13,999	27,306
შემოსავალი სხვა საბროკერო მომსახურებიდან	840	1,443
სულ საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	14,839	28,749

14. საპროცენტო შემოსავალი

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი სუბორდინირებული სესხიდან	75,162	83,125
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტიდან	20,035	18,540
სხვა	-	252
სულ საპროცენტო შემოსავალი	95,197	101,917

15. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
საგადასახადო დავის ანარიცხი (შენიშვნა 18)	(61,220)	-
შრომის ანაზღაურება	(51,520)	(53,724)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	(19,237)	(11,358)
დაზღვევის ხარჯი	(2,037)	(1,861)
სხვა	(3,875)	(8,234)
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	(137,889)	(75,177)

სს „ჭერთიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(13,743)	(16,411)
საკომუნიკაციო ხარჯები	(9,887)	(12,397)
საკომისიო ხარჯი	(5,187)	(3,910)
პროგრამული მომსახურების ხარჯი	(3,491)	(8,444)
სულ საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები	(32,308)	(41,162)

17. ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან

	2022	2021
გაცემული სესხები	(146,573)	(66,181)
ფული და ფულის ეკვივალენტები	(11,928)	(3,895)
სხვა აქტივები	-	(349)
სხვა ვალდებულებები	6,129	16,945
სულ ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	(152,372)	(53,480)

18. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

2022 წლის განმავლობაში საგადასახადო ორგანომ ორი სხვადასხვა საგადასახადო მოთხოვნით ჯგუფს დაარიცხა თანხები ერთიდაიმავე საკითხთან დაკავშირებით ჯამურად 128,512 ლარის ოდენობით. ჯგუფი განიხილავს მიმართოს შემოსავლების სამსახურს საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ და აქვს მოლოდინი, რომ შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში ჯგუფის მიერ გადასახდელი თანხა შემცირდება ძირითადი გადასახდელის ოდენობამდე. შესაბამისად, მოსალოდნელი ზარალის მოცულობა შეიძლება განისაზღვროს გადასახდელი გადასახადის ძირითადი ნაწილის ოდენობით.

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული სასამართლო დავების შედეგად.

საინვესტიციო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მოთხოვნას საბროკერო კომპანიების კაპიტალის მოცულობასთან დაკავშირებით.

სს „ჭერთიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

19. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

ჯგუფის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს წარმოადგენს სავაჭრო კრედიტორული დავალიანება და კლიენტის ანგარიშები. ფინანსური ვალდებულებები აფინანსებს ჯგუფის საოპერაციო და საინვესტიციო აქტივობებს. ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივებია მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან, გაცემული სესხები და ბანკში განთავსებული ფული.

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	ფუნტი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	20,378	78,841	1,221	3,262	103,702
გაცემული სუბორდინირებული სესხი	-	998,302	-	-	998,302
კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები	14,069	-	-	-	14,069
სულ ფინანსური აქტივები	34,447	1,077,143	1,221	3,262	1,116,073
ფინანსური ვალდებულებები					
სხვა ვალდებულებები	1,161	-	-	-	1,161
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,161	-	-	-	1,161

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	ფუნტი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	12,173	71,720	6,999	4,179	95,071
გაცემული სუბორდინირებული სესხი	-	1,144,399	-	-	1,144,399
კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები	27,306	-	-	-	27,306
სულ ფინანსური აქტივები	39,479	1,216,119	6,999	4,179	1,266,776
ფინანსური ვალდებულებები					
სხვა ვალდებულებები	2,235	-	-	-	2,235
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,235	-	-	-	2,235

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	215,429	243,224
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	(215,429)	(243,224)

საკრედიტო რისკი

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული და ფულის ეკვივალენტები	103,702	95,071
გაცემული სუბორდინირებული სესხი	998,302	1,144,399
კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები	14,069	27,306
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	787	10,782
სულ ფინანსური აქტივები:	1,116,860	1,277,558

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან წარმოშობილი მოთხოვნებიდან და სს „ლიბერთი ბანკი“- სთვის მიცემული სესხიდან, რომელიც წარმოადგენს ავტორიზებულ საკრედიტო ინსტიტუს, რომელსაც სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს B+ სტაბილური რეიტინგი, შესაბამისად ჯგუფი არ მიიჩნევს აღნიშნულ სუბორდინირებულ სესხს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის შემცველად.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტაინი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი დარჩენილი სახელმწიფო ვადების მიხედვით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	103,702	-	-	103,702
გაცემული სუბორდინირებული სესხი	-	998,302	-	998,302
კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები	14,069	-	-	14,069
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	787	-	-	787
სულ აქტივები	118,558	998,302	-	1,116,860
სხვა ვალდებულებები	1,161	-	-	1,161
სულ ვალდებულებები	1,161	-	-	1,161

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	95,071	-	-	95,071
გაცემული სუბორდინირებული სესხი	-	1,144,399	-	1,144,399
კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები	27,306	-	-	27,306
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	10,782	-	-	10,782
სულ აქტივები	133,159	1,144,399	-	1,277,558
სხვა ვალდებულებები	2,235	-	-	2,235
სულ ვალდებულებები	2,235	-	-	2,235

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე. გარდა ფინანსური აქტივებისა რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და კლიენტის მოზარებული აქტივებისა, რომლებიც შეფასებულია იერარქიის პირველ დონეზე.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

სს „ჭერთიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები, აღიარებული შემოსავლები და ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
კლიენტების მოზარებული აქტივები	ბენეფიციარი მესაკუთრე	1,913,677	2,363,558
კლიენტების მოზარებული აქტივები	სხვა დაკავშირებული მხარე	10,396,559	14,542,993
კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები	ბენეფიციარი მესაკუთრე	3,495	5,057
კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები	სხვა დაკავშირებული მხარე	10,504	22,249
კლიენტების ანგარიშები	ბენეფიციარი მესაკუთრე	1,913,677	2,363,558
კლიენტების ანგარიშები	სხვა დაკავშირებული მხარე	10,396,559	14,542,993
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	კავშირის სახე	2022	2021
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	ბენეფიციარი მესაკუთრე	3,495	5,057
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	სხვა დაკავშირებული მხარე	10,504	22,249

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2022	2021
უმალესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	24,490	27,793

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.